

თავი 36 დამარცხებულია კანონი

ჯონათანს იმედი ჰქონდა, რომ აღისასთან რანდევუს დრო მოსულიყო, რომელზეც იგი საკმაოდ ხშირად ფიქრობდა. მეტიც, მთელი არსებით უნდოდა, მისთვის თავს გადახდენილი ამბები მოეყოლა. ლოდინით აღტყინებულმა ნაბიჯს უმატა, მეზობელ ქუჩაზე გადაუხვია და მოედანზე გავიდა, სადაც მოღრიალე ბრბო შეგროვილიყო. სამი გზის გასაყარზე თოკებით გარშემორტყმული, ოთხკუთხა ბაქანი აღემართათ. ადამიანები ერთმანეთს მუჯღუგუნს კრავდნენ და ცენტრისკენ გაძრომას ცდილობდნენ. ჯონათანის გასაოცრად, თითოეული მათგანის ზურგს თეთრი სახვევი ამშვენებდა.

ცენტრში აღმართულ ბაქანზე ვიღაც ყურისწამლებად გაჰკიოდა:

– ამ კუთხეშია 246 ფუტიანი, ხუთი თვის განმავლობაში მუშათა საერთაშორისო შეჯიბრებათა დაუმარცხებელი ჩემპიონი, საშიში ვეფხვი, თავად... კარლ მარლოუ „ჩაქუჩა“!

ბრბო ყვირილმა და მქუხარე აპლოდისმენტებმა გააყრუა. ბაქანის ერთ მხარეს კარტის მაგიდასთან შრამიანი კაცი იჯდა. იგი ხმაურს არად დაგიღვედათ და რაღაც ქაღალდებსა და ფულს ახარისხებდა.

– ჰა, ფსონი დადე, შვილო. შემდეგ რაუნდამდე რამდენიმე წამი დარჩა, – შეჰყეფა კაცმა ჯონათანს.

სწორედ ამ წუთში აღფრთოვანებულმა მოხუცმა ქალმა ჯონათანი იდაყვით გვერდით გასწია და მაგიდაზე ბანკნოტების შეკვრა დააგდო.

– ორმოცდაათი ჩემპიონზე, სწრაფად! – მოითხოვა მან.

– კარგი, ქალბატონო! – კაცმა ბილეთზე ბეჭედი დასვა და ჟურნალიდან ამოხია, – ჩეკი ინებეთ.

გამომცხადებელმა ბაქანი გადაკვეთა და იყვირა:

– მეორე კუთხეში კი ჩემპიონობის პრეტენდენტია – 270 ფუტი დაკუნთული სხეული – ძვლების მკვნიტელი ახმახი!

ჯონათანი მაგიდასთან მჯდომ კაცს მიუბრუნდა და ჰკითხა:

– რა ხდება? რამე პრობლემაა? როგორც ჩანს, იჩხუბებენ!

– იჩხუბებენ! უეჭველად იჩხუბებენ, მაგრამ არანაირი პრობლემა არ არსებობს, – თქვა კაცმა დამცინავი ღიმილით, – ასეთი მაგარი ჩხუბი არსად ყოფილა! აქ თავ-პირის დალეწვა ღვთის დალოცვაა.

უცებ გონგის ხმა გაისმა და კაცმა დაიღრიალა:

– ყველა ფსონი მიღებულა!

მებრძოლებმა შერკინება დაიწყეს და რამდენიმე დარტყმა გაცვალეს.

– მისმინე, შვილო, ნუ დეღაგ. ამ ბრძოლის გამარჯვებულებს და დამარცხებულებს გვარიან თანხებს მიიღებს.

უცებ ერთ-ერთი მოკრივე მძლავრი დარტყმებისგან რინგზე გაიშხლართა. ბრბოს აღფრთოვანების შეძახილები აღმოხდა, კრუპიემ კი ფულის თვლა განაგრძო.

– პრიზს ორივე მიიღებს?

– ხუთასი... ექვსასი... აუცილებლად, – მან საქმიანობა ცოტა ხნით შეწყვიტა და ჯონათანს მიუბრუნდა, – ეს ხომ კუნძულზე ყველაზე პოპულარული ბრძოლებია, ამიტომ ხანდახან დამარცხებული გაცილებით მეტს იღებს, ვიდრე გამარჯვებული. შვიდასი... რვაასი...

– ნებისმიერს, ანუ მეც შემდეგ დამარცხებით გავმდიდრებულიყავი? – გაოცებისგან თვალები გაუფართოვდა ჯონათანს.

– არა, ამ თამაშში მონაწილეობა ყველას როდი შეუძლია. ჩემპიონთან მებრძოლების უფლება მაშინ გეძლევა, თუ ისეთი სამუშაო გაქვს, რომელიც შეიძლება დაკარგო.

– ვერაფერი გავიგე, – თქვა ჯონათანმა, – რატომ უნდა გარისკოს ადამიანი სამუშაოთი, რაღაც თამაშში მონაწილეობის მისაღებად?

გონგმა შემდგომი რაუნდის დასრულება ამცნო შეკრებილთ და ბრბოც მიწინარდა.

– ცხრაასი, ათასი... საქმეც ეგ არის. ნუთუ დამარცხებულთა კანონის შესახებ არაფერი გსმენია? – იკითხა კაცმა, – დამარცხებულთა კანონი რისკს გაცილებით ამცირებს. დამარცხებული არც გასამრჯელოზე დარდობს და არც მკურნალობისთვის საჭირო თანხებზე.

– რატომ?

– იმიტომ, ბრძოლის შემდეგ დამარცხებული აღარ მუშაობს და ყველა ხარჯს დამსაქმებელი იხდის.

ჯონათანმა კისერი წაიგრძელა და ნახა, რომ ერთ-ერთი მოკრივე კუთხეში მდგარ სკამზე დაეშვა და გასისხლიანებული სახე დამხმარეს მიუშვირა.

– კი, მაგრამ რა საერთო აქვს ამ ბრძოლას დამსაქმებელთან?

– მართალი გითხრათ, არანაირი, – თქვა კრუპიემ, – მისმინე, შვილო, მუშა ამბობს, რომ ტრავმა მიიღო, ასე არ არის? და დასძენს, რომ მუშაობა არ შეუძლია, ჰო?

– ასეა, – ჩაიბუტბუტა ჯონათანმა, თუმცა გაგონილის აზრს დიდად ვერ მიხვდა.

– ანუ, მუშამ ფულის მისაღებად უნდა იცრუოს?

– ასეთი რამ ადრეც მომხდარა, – ჩაიხითხითა კაცმა, – სწორად გამიგე, ქალაქის ყველა მუშა დიდი სიამოვნებით იტყუება. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ მათ ამისათვის დამარცხებულთა კანონი აჯილდოებს. სწორედ ამიტომ, ბრძოლაში მონაწილეობის მსურველთა რიცხვი დღითი დღე იზრდება. ბოლო ტყუილი ორმოცი წლის წინ გამოააშკარავეს.

როგორც იქნა, ჯონათანი მიხვდა, რატომ ეკეთა ყველას თეთრი სახვევები.

– საბჭო როგორ ებრძვის ტყუილს?

კაცმა კიდევ ერთხელ ჩაიხითხითა:

– ყველა შემთხვევაში გვიჭერენ მხარს, ჩვენ კი არჩევნების დღეს ლოიალურობით ვპასუხობთ.

– პოლიცია! – იყვირა ვიღაცამ ბრბოდან. კაცმა მყის დახურა ფულით საესე ყუთი, მაგიდა დაკეცა და უდარდელად სტვენას მოჰყვა.

ჯონათანმა პოლიციელების ძეხნაში ხალხს გადაავლო თვალი. ოფიცერი სტიუარტისა და მისი მსლებლების დანახვაზე კი იკითხა:

– რა მოხდა? ბრძოლები უკანონოა?

– არა, რას ამბობ, – ცივად თქვა კაცმა, – კარგი ბრძოლა პოლიციასაც მოსწონს. უკანონო არასანქცირებული აზარტული თამაშებია. ლორდთა საბჭოს მიაჩნია, რომ აზარტული თამაშები ამორალურია, ეს მხოლოდ განსაკუთრებულ პროცენტ-შოუს არ ეხება, როდესაც ყველა თამაშით იოხებს გულს. ტვიდი ფიქრობს, რომ უკეთესი იქნება, თუ ფსონებს არჩევნების დღემდე შევინახავთ.

ამ მომენტში გონგის ხმა გაისმა და მაყურებელი შემდეგ მებრძოლებს მიესალმა. ჯონათანმა მხარზე ხელის დაკვრა იგრძნო, შემობრუნდა და აღისა დაინახა, რომელმაც გაუღიმა და ჰკითხა:

– შენი კატა სად არის?